პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 131 (10217) | შაბათი, 4 ივნისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისათვის, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის! — „პრავდის“ 3 ივნისის მოწინავე (1-ლი გვერდი).

ბელგრადიდან გამოემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია (1-ლი გვერდი).

სოფიაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია (1-ლი გვერდი).

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა (1-ლი და მე-2 გვერდი).

ამხანაგ ვილკო ჩერვენკოვის სიტყვა მიტინგზე სოფიაში (მე-2 გვერდი).

სადილი იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად (მე-2 გვერდი).

იუგოსლავიაში სსრ კავშირის საელჩომ დარბაზობა გამართა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ბელგრადში ყოფნის გამო (მე-2 გვერდი).

კ. ლოლაძე. — ი. მ. სვერდლოვი (მე-2 გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. — საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოებში შრომის საქმეთა განხილვის მდგომარეობის შესახებ (მე-3 გვერდი).

მ. დოლაბერიძე. — მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მაღალი ხარისხის ჩაი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისათვის, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის!

„პრავდის“ 3 ივნისის მოწინავე

დღეს „პრავდა“ აქვეყნებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციას, რომელსაც ხელს აწერენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ი. ბროზ-ტიტო. დეკლარაციაში შეჯამებულია შედეგები საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკებისა, რომელიც უმაღლეს დონეზე წარმოებდა 27 მაისიდან 2 ივნისამდე. ეს დეკლარაცია, რომელიც მოასწავებს მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას, დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტია.

წარსულს ჩაბარდა ის პერიოდი, როცა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის კეთილი ურთიერთობა დარღვეული იყო. ორივე მხრივ გამოთქმულია მზადყოფნა გადაჭრით აღგავონ ამ პერიოდის მთელი ნალექი და აღმოფხვრან ყველა დაბრკოლება, რომლებიც ხელს უშლის სახელმწიფოების ურთიერთობის სრულ ნორმალიზაციას და ორივე ქვეყნის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განვითარებას. იწონებდა და მხარს უჭერდა რა მისიას, რომლითაც სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია იუგოსლავიაში გაემგზავრა, საბჭოთა საზოგადოებრიობა მტკიცე იმედს გამოთქვამდა, რომ ბელგრადის მოლაპარაკება გამოიწვევს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებას და რომ ეს ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას. გულითადი, მეგობრული მიღება, რომელიც საბჭოთა დელეგაციას იუგოსლავმა ხალხმა მოუწყო, ცხადყოფს, რომ ამ იმედს იზიარებდნენ იუგოსლავიის მშრომელებიც. ფაქტები იმას მოწმობენ, რომ გამართლდა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა იმედი.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის მომწიფებული საკითხების განხილვამ, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა უმაღლეს დონეზე, შესაძლებლობა მისცა დელეგაციებს ჩამოეყალიბებინათ უმნიშვნელოვნესი პრინციპები, რომლებითაც ხელმძღვანელობს ორივე მთავრობა საერთაშორისო ურთიერთობაში, განსაზღვრათ საერთო შეხედულებანი მომწიფებული პრობლემების გადაჭრის გზის შესახებ და შეემუშავებინათ ის დებულებანი, რომლებზეც ამენდება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება. როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, მოლაპარაკების მსვლელობაში გამოვლინდა ორივე ქვეყნის მთავრობათა გულწრფელი მისწრაფება სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისადმი, რაც სავსებით შეესაბამება ორივე ქვეყნის ინტერესებს, აგრეთვე მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებს და რის ობიექტური პირობებიც ამჟამად არსებობს.

პრინციპები, რომლებიც გამოცხადებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციაში, როგორც სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ერთიანი თვალსაზრისი, შემდეგია: განუყოფლობა მშვიდობისა, მხოლოდ რომელსაც შეიძლება ემყარებოდეს კოლექტიური უშიშროება; სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და თანასწორუფლებიანობის პატივისცემა სახელმწიფოთა შორის მათს ურთიერთობაში და სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში; ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის აღიარება და განვითარება დამოუკიდებლად მათი იდეოლოგიური განსხვავებისა და საზოგადოებრივი წყობილების განსხვავებისა; ურთიერთპატივისცემა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; ორმხრივი და საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის განვითარება და ეკონომიურ ურთიერთობაში ყველა იმ ფაქტორის აღმოფხვრა, რომლებიც მას აძნელებენ; დახმარების გაწევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათანადო ორგანოების მეშვეობით, აგრეთვე სხვა ფორმების საშუალებით, რომლებიც შეესაბამებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს, როგორც ნაციონალური ეკონომიკისადმი, ისე ეკონომიურად ჩამორჩენილი რაიონებისადმი ამ რაიონების ხალხთა ინტერესებისათვის და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ინტერესებისათვის; პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ყოველგვარი ფორმის, აგრეთვე სხვა ისეთი მოქმედების შეწყვეტა, რომლებიც ნერგავენ უნდობლობას და ხელს უშლიან საერთაშორისო თანამშრომლობას; ყოველგვარი აგრესიისა და სხვა ქვეყნებზე პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის დამყარების ყოველგვარი ცდის დაგმობა; იმის აღიარება, რომ სამხედრო ბლოკების პოლიტიკა აძლიერებს საერთაშორისო დაძაბულობას, ძირს უთხრის ხალხთა შორის ნდობას და ადიდებს ომის საფრთხეს.

ამ პრინციპებს, უეჭველია, სიმპათიით შეხვდება და მხარს დაუჭერს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მთავრობებმა თავიანთ დეკლარაციაში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა მიღებულ იქნას შემდგომი ღონისძიებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტის განმტკიცებისათვის და ამასთან აღნიშნეს, რომ მისი როლისა და ავტორიტეტის გაძლიერება განსაკუთრებულ დადასტურებას ჰპოვებდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი კანონიერი ადგილის მინიჭებით. ორივე მთავრობამ განაცხადა, რომ ყველა ხალხმა უნდა მიიღოს ახალი ღონისძიებანი დადებითი შედეგებისა და შეთანხმებების მისაღწევად მოლაპარაკებაში ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, როგორიც არის შეიარაღების შემცირება და შეზღუდვა, ატომური იარაღის აკრძალვა, რათა ატომის ენერგია გამოყენებულ იქნას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით; საერთო კოლექტიური უშიშროების შექმნა, მათ შორის ხელშეკრულებაზე დამყარებული ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ასეთი ნაბიჯების განხორციელების შედეგად შეიქმნებოდა ატმოსფერო, რომელიც ამავე დროს შესაძლებელს გახდიდა მშვიდობიანი გზით გადაჭრილიყო პირველი რიგის ისეთი მწვავე საერთაშორისო პრობლემები, როგორიც არის გერმანიის საკითხი, რომლის შეთანხმებული გადაჭრა შეიძლება მიღწეულ იქნას და კიდევაც უნდა იქნას მიღწეული დემოკრატიულ საფუძველზე, გერმანელი ხალხის სურვილებისა და ინტერესების, აგრეთვე საყოველთაო უშიშროების ინტერესების შესაბამისად. ეს ატმოსფერო ხელს შეუწყობდა კუნძულ ტაივანის მიმართ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა დაკმაყოფილებას.

ამასთანავე დაკავშირებით ორივე მთავრობა თავის დეკლარაციაში მიესალმება ბანდუნგის კონფერენციის შედეგებს, როგორც მნიშვნელოვან წვლილს საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში და როგორც მხარდაჭერას აზიისა და აფრიკის ხალხთა ღონისძიებებისათვის მათი პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებაში.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობას, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაცია ითვალისწინებს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ამ ურთიერთობის სრული ნორმალიზაცია. ორივე მთავრობამ გამოთქვა მისწრაფება თავიანთი მომავალი ურთიერთობა განვითარონ მეგობრული თანამშრომლობის სულისკვეთებით. მათ განაცხადეს, რომ მიღებულ იქნება ყველა საჭირო ღონისძიება ნორმალური სახელშეკრულებო მდგომარეობის შემოსაღებად, რომლის საფუძველზე განვითარდება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ყოველმხრივი თანამშრომლობა.

გამოთქვეს რა აზრი ორივე ქვეყანას შორის ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოების სასარგებლოდ, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მთავრობებმა გადაწყვიტეს მიიღონ ღონისძიებანი წარსულში არსებული ნორმალური ურთიერთობის დარღვევის შედეგების ლიკვიდაციისათვის და დაიწყონ საჭირო ხელშეკრულებათა დადება ეკონომიური ურთიერთობის განვითარების მიზნით. გათვალისწინებულია მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები, რომელთა მიზანია სსრ კავშირისა და იუგოსლავიის კულტურული ურთიერთობის გაფართოება; კერძოდ, განზრახულია დაიდოს კონვენცია კულტურული თანამშრომლობის შესახებ. თვითეულისათვის გასაგები უნდა იყოს მნიშვნელობა აგრეთვე ისეთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებისა, როგორიც არის მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში ურთიერთთანამშრომლობის დამყარება. მნიშვნელობა აქვს სხვა დებულებებსაც, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობას, — მოქალაქეობის შესახებ და სხვებს.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მთავრობა შეთანხმდა მხარი დაუჭირონ და გააადვილონ ორივე ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობა კონტაქტის განხორციელების, სოციალისტური გამოცდილების გაზიარებისა და აზრების თავისუფალი გაცვლის გზით.

ამრიგად, დეკლარაცია დამაჯერებლად მოწმობს, რომ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მთავრობებმა, რომლებიც ურთიერთ შორის შეთანხმდნენ ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის შესახებ, შექმნეს მტკიცე და საღი ბაზა, რომელზეც განვითარდება და განმტკიცდება ჩვენი მოძმე ხალხების მეგობრობა.

შეუძლებელია გადაჭარბებით შეფასოთ ყველასთვის აშკარა ამ ფაქტის მნიშვნელობა. სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობის სრულ ნორმალიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ორივე ქვეყნისათვის, არამედ მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისთვისაც, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის საქმისთვისაც. აი ამიტომ ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა ასეთი უდიდესი ინტერესითა და სიმპათიით ადევნებდა თვალყურს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების განვითარებას. ცნობებს იმის შესახებ, რომ ეს მოლაპარაკება სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით ვითარდებოდა, სიხარულით შეხვდნენ მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ყველა ქვეყანაში, მათ სიხარულით შეხვდნენ მშვიდობის საქმის დამცველნი მთელ დედამიწაზე.

ყველამ იცის, რომ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის კეთილი ურთიერთობის დარღვევით სურდათ ესარგებლნათ მტრულ ძალებს. მშვიდობის მტრებს, მუშათა კლასის მტრებს განზრახული ჰქონდათ საკმაოდ დიდი პოლიტიკური კაპიტალი შეეძინათ ამ განხეთქილების საშუალებით, და, ბუნებრივია, რომ დღეს გამოქვეყნებული დეკლარაცია ამ იმედების კრახს ნიშნავს მათთვის. აი ამიტომ ამერიკის რეაქციული პრესა უკვე ახლა იწყებს გაბოროტებულ ღმუილს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგების გამო. იმპერიალისტები და მათი აგენტურა ხედავენ, რომ, მათი ხრიკების მიუხედავად, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა განმტკიცდება და განვითარდება.

საბჭოთა საზოგადოებრიობა ღრმა რწმენას გამოთქვამს, რომ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სსრ კავშირის და იუგოსლავიის მთავრობებმა ერთად მიიღეს, მოჰყვება ორივე ქვეყნის ხალხებს შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება და განმტკიცება. ასეთი თანამშრომლობისათვის ყველა პირობა მოიპოვება — ჩვენი ქვეყნების ხალხთა საუკუნეობრივი მეგობრობა, მათი რევოლუციური მოძრაობის სახელოვანი ტრადიციები, საჭირო ეკონომიური ბაზა და საერთო იდეალები კაცობრიობის მშვიდობიანი აყვავებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობის გაფართოებასა და განმტკიცებას მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის კონსოლიდაცია ყველა ქვეყნის მუშათა კლასის ინტერესებს შეესაბამება. ამ კონსოლიდაციას ხელს შეუწყობს დეკლარაციაში ჩაწერილი დებულება იმის შესახებ, რომ საშინაო წყობილების, საზოგადოებრივი სისტემების განსხვავებისა და სოციალიზმის განვითარების კონკრეტული ფორმების განსხვავების საკითხები წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული ქვეყნების ხალხთა საქმეს.

დასასრულ, შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობის გაფართოება სასარგებლო გავლენას მოახდენს საერთაშორისო მდგომარეობაზე. ხელს შეუწყობს რა სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის ატმოსფეროს შექმნას, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის თანამშრომლობა ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

აი ამიტომ საბჭოთა ადამიანები სულით და გულით მიესალმებიან საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგებს. ისინი ურყევად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას, რომლებიც პრაქტიკაში შემოქმედებითად ახორციელებენ უკვდავ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას.

გაუმარჯოს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა ძმურ მეგობრობასა და მჭიდრო თანამშრომლობას!

გაუმარჯოს ყველა ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობას!

ბელგრადიდან გამოემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

ბელგრადი, 3 ივნისი. (საკდესი). დღეს ბელგრადიდან გაემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი.

ზემუნის აეროდრომზე საბჭოთა მთავრობის დელეგაცია გააცილეს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ი. ბროზ-ტიტომ, საკავშირო სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარემ მ. პიადემ, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილეებმა ე. კარდელმა, ა. რანკოვიჩმა, ს. ვუკმანოვიჩ-ტემპომ, რ. ჩოლაკოვიჩმა, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა კ. პოპოვიჩმა, სერბიის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარემ ი. ვესელინოვმა, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრმა მ. ტოდოროვიჩმა, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს მდივანმა ვ. ზეკოვიჩმა, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის საგარეო პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ვლახოვიჩმა, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის მოადგილეებმა ვ. მიჩუნოვიჩმა, ხ. ბრკიჩმა, ქალაქ ბელგრადის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. მინიჩმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ბელგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანმა დ. იოიკიჩმა და სხვ.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია გააცილეს აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა იუგოსლავიაში ვ. ა. ვალკოვმა და საბჭოთა კავშირის ბელგრადის საელჩოს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, საელჩოებისა და მისიების მეთაურებმა, რომლებიც აკრედიტებული არიან ბელგრადში.

აეროდრომი მორთული იყო სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით. ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის სახელმწიფო ჰიმნები.

სოფიაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

სოფია, 3 ივნისი. (საკდესი). დღეს სოფიაში ბულგარეთის მთავრობისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვეითი ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა ბელგრადიდან მომავალი საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. ა. ბულგანინის, ა. ი. მიკოიანის შემადგენლობით.

სოფიის ცენტრალურ აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვილკო ჩერვენკოვი, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი დამიანოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რაიკო დამიანოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები გიორგი ცანკოვი, ენჩო სტაიკოვი, არმიის გენერალი ივანე მიხაილოვი, ბულგარეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ პრახოვი, არმიის გენერალი პეტრე პანჩევსკი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წევრები ატანას დიმიტროვი, დანჩო დიმიტროვი, დემირ იანევი, დიმო დიჩევი, კიმონ გეორგიევი, კირილ ლაზაროვი, მარინ გრაშნოვი, მინჩო ნეიჩევი, პელო პელოვსკი, დოქტორი პეტრე კოლაროვი, რადი ნაიდენოვი, რუსი ხრისტოზოვი, სტანკო ტოდოროვი, სტოიან ტონჩევი, ტანო ცოლოვი, ცოლა დრაგოიჩევა და სხვა ოფიციალური პირები.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ი. კ. პრიხოდოვი და საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები.

შეხვედრას დაესწრნენ აგრეთვე ყველა საელჩოს მეთაურები, აკრედიტებულნი სოფიაში. აეროდრომი მორთული იყო სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით.

შეხვედრის დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომიდან საბჭოთა მთავრობის დელეგაცია წავიდა სოფიაში, სადაც 9 სექტემბრის მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელზეც შეიკრიბა 200 ათასი მშრომელი.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვილკო ჩერვენკოვმა, რომელიც ბულგარელი ხალხის სახელით მხურვალედ მიესალმა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებს ბულგარეთის მიწა-წყალზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

• • •

ბულგარეთის დედაქალაქის მშრომელნი საბჭოთა მთავრობის დელეგაციას ყველგან ხვდებოდნენ მქუხარე ოვაციებით და მისასალმებელი შეძახილებით ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის პატივსაცემად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პატივსაცემად, საბჭოთა კავშირის მთავრობისა და საბჭოთა ხალხის პატივსაცემად.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

მიტინგზე ქალაქ სოფიაში ჩასვლისას 1955 წლის 3 ივნისს

ძვირფასო ამხანაგო ჩერვენკოვ!

ძვირფასო ამხანაგებო, ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებო!

ძვირფასო ამხანაგებო, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებო!

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გადმოგცეთ ჩვენი მხურვალე გულითადი სალამი! **(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია, შეძახილები „ვაშა!“).**

ჩვენ მოხარული ვართ გადავცეთ ბულგარელ ხალხს საბჭოთა კავშირის ხალხების ძმური სალამი და საუკეთესო სურვილები. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგ ჩერვენკოვს და ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებს არაერთხელ მოვუწვევივართ ჩვენ თქვენს ქვეყანაში. ჩვენ აღვუთქვით, რომ ვეწვეოდით პირველ შესაძლებლობისთანავე. ვიყავით რა ბულგარეთის ახლოს, ჩვენ დიდი სიხარულით ვისარგებლეთ ამ მოწვევით.

საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ხალხები მჭიდროდ დაკავშირებული არიან მრავალსაუკუნოვანი მეგობრობით და ერთობლივი ბრძოლით თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ჩვენი ხალხების ეს მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა განსაკუთრებით განმტკიცდა ფაშისტ დამპყრობთა განადგურების შემდეგ. დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ხალხების მეგობრობა ვითარდება და მტკიცდება ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის განმტკიცების ინტერესებისათვის.

საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად ახარებთ ბულგარელი ხალხის ყველა წარმატება, რომლებიც მიღწეულია ბულგარეთის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ფაშისტური ბატონობის დამხობისა და ექსპლოატატორული წყობილების ლიკვიდაციის შემდეგ ბულგარეთის მშრომელნი მტკიცე რწმენით მიდიან სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზით, თანმიმდევრულად იცავენ მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების საქმეს.

წლითიწლობით მტკიცდება და ვითარდება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა, განუხრელად მიდის წინ მისი ეკონომიკა, ვითარდება ეროვნული კულტურა. საბჭოთა ხალხი სულით და გულით უსურვებს მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას, მთელ ბულგარელ ხალხს შემდგომ წარმატებებს ახალი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში, გულწრფელად უსურვებს სახალხო-დემოკრატიულ ბულგარეთს ყოველმხრივ განმტკიცებას, აღმავლობასა და აყვავებას.

ჩვენ თქვენთან ჩამოვედით ბელგრადიდან, სადაც ვაწარმოებდით მოლაპარაკებას იუგოსლავიის ხელმძღვანელებთან. ეს მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით და წარმატებით დამთავრდა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მთავრობების ერთობლივი დეკლარაციის ხელმოწერით. მოლაპარაკების მსვლელობაში გამოვლინდა ორივე ქვეყნის მთავრობების გულწრფელი მისწრაფება იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისადმი, რაც სავსებით შეესაბამება ორივე ქვეყნის ინტერესებს, სხვა ხალხთა ინტერესებს, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის ინტერესებს.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგად ზოლო მოელო იმ პერიოდს, როცა დარღვეული იყო კარგი ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის. სავსებით ცხადია, რომ ურთიერთობის ასეთი დარღვევა ხელსაყრელი იყო მხოლოდ იმპერიალისტური რეაქციისა და აგრესიის ძალებისათვის, რომლებიც ცდილობენ ერთმანეთს შეაჯახონ ხალხები, ჩამოაგდონ მათ შორის შუღლი და მტრობა, რათა უფრო ადვილად განახორციელონ თავიანთი ვერაგული ანტიხალხური ზრახვები.

დღეს ჩვენ უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლა გახსნილია გზა იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირმა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანამ დაამყარონ და განავითარონ მეგობრული ურთიერთობა იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკასთან. იუგოსლავიაში ყოფნის დროს ჩვენ ვესაუბრეთ იუგოსლავიის მთავრობისა და კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელებს, იუგოსლავიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ტიტოს. ჩვენ ვიყავით იუგოსლავიის ბევრ რაიონში, ვესაუბრეთ მშრომელებს და ვნახეთ, რომ, მიუხედავად სიძნელეებისა, რომელთა გამოვლა იუგოსლავიას მოუხდა მასა და ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის დარღვევის შედეგად, იუგოსლავიას არ დაუთმია თავისი

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

მიტინგზე ქალაქ სოფიაში ჩასვლისას 1955 წლის 3 ივნისს

(დასასრული)

სუვერენიტეტი, მთლიანად შეინარჩუნა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა იმპერიალისტური ბანაკის წინაშე.

მოლაპარაკების შედეგად შეიქმნა ჯანსაღი ნორმალური ვითარება, გაკაფულია გზა, რათა შემდგომ განვითარდეს მეგობრული ურთიერთობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობის გაუმჯობესება ახალი წვლილი იქნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკება სამსახურს გაუწევს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებს, ყველა ქვეყნის მშრომელთა ინტერესებს, რომლებიც მოწონებით შეხვდნენ ცნობას, რომ მიღწეულია საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების დადებითი შედეგები. ამ მოლაპარაკების შედეგებს განსაკუთრებული კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხები, რადგან ამ ქვეყნების ხალხები მრავალი წლის განმავლობაში საერთო საქმისათვის ერთობლივი ბრძოლით იყვნენ დაკავშირებულნი იუგოსლავიის ხალხებთან.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა თანმიმდევრულად და განუხრელად ახორციელებენ მშვიდობის პოლიტიკას და იბრძვიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. ამ პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ყველა ხალხის ინტერესებს, ჩვენთან ერთად იცავენ დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანა და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი. დღითიღღე იზრდება და მტკიცდება ჩვენი მძლავრი სოციალისტური ბანაკის ძალები და ის რწმენა, რომ რეაქციული, აგრესიული წრეების ვერავითარი ხრიკი ვერასოდეს ვერ შეუშლის ხელს ჩვენს წინსვლას. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამ ბანაკის თვითეულ ქვეყანას შეაქვს თავისი წვლილი ჩვენს საერთო საქმეში. ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენს საერთო საქმეში. ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენს საერთო საქმეში. ღირსეული წვლილი შეაქვს ბულგარელ ხალხს. რაც უფრო კარგად მუშაობენ ჩვენი ქვეყნების მშრომელნი, მით უფრო მტკიცეა მშვიდობის საქმე, სოციალიზმის საქმე! მაშ თავდადებით ვიშრომოთ, ამხანაგებო, ამ დიადი საქმის გამარჯვებისათვის! **(ხანგრძლივი ოვაცია).**

გაუმარჯოს მოძმე ბულგარელ ხალხს! **(ხანგრძლივი ოვაცია, შეძახილები „ვაშა!“).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობას! **(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. შეძახილები: „ვაშა!“, „მარადიული მეგობრობა!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“).**

ამხანაგ ვილკო ჩერვენკოვის სიტყვა მიტინგზე სოფიაში

სოფიის მოქალაქენო!
ამხანაგებო!

დიდი სიხარულით აღსავსეა ყველა ჩვენგანის გული: ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალზე, ჩვენს შორის არიან ყველაზე ძვირფასი სტუმრები — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ხრუშჩოვი **(მქუხარე ტაში, მძლავრი „ვაშა!“, ხანგრძლივი შეძახილები: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია!, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია!“)**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ბულგანინი **(მქუხარე ტაში, მძლავრი „ვაშა!“, ხანგრძლივი შეძახილები: „მარადიული მეგობრობა! მარადიული მეგობრობა!“)**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხანაგი მიქოიანი **(მქუხარე ტაში და „ვაშა!“)**.

ნება მიბოძეთ სახალხო კრების პრეზიდიუმის, მთავრობის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს სახელით, თქვენი სახელით და მთელი ბულგარელი ხალხის სახელით ვუთხრა ჩვენს ძვირფას და სპატიო სტუმრებს ჩვენი გულწრფელი და გულითადი ბულგარული „დობრე დოშლი!“ (კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!). **(მქუხარე ტაში, ხანგრძლივი მძლავრი „ვაშა!“ და ერთსულოვანი შეძახილები: „დობრე დოშლი!“ და „მარადიული მეგობრობა!“)** და მათი სახით ძმურად და მგზნებარედ მივესალმო დიდ საბჭოთა ხალხს, მის სახელოვან და ბრძენ კომუნისტურ პარტიას, მის მთავრობას, რომელთა თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას ცხოვლად ეხმაურებიან და მხარს უჭერენ მთელი დედამიწის მშრომელნი. **(მქუხარე ტაში და მძლავრი „ვაშა!“).**

ამხანაგების ხრუშჩოვის, ბულგანინისა და მიქოიანის ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში დიდი პატივი და სიხარულია მისთვის და მკაფიოდ გამოხატავს ურღვევ ძმობას **(მქუხარე ტაში და ხანგრძლივი ერთსულოვანი შეძახილები: „მარადიული მეგობრობა! მარადიული მეგობრობა!“)**, რომელიც სამუდამოდ აკავშირებს საბჭოთა და ჩვენს ხალხებს, გამოხატავს ჩვენი ინტერესებისა და მიზნების ერთობასა და ერთიანობას, ჩვენს ერთობლივ მისწრაფებას დავიცვათ და განვამტკიცოთ მშვიდობა. **(ხანგრძლივი მქუხარე ტაში და მძლავრი „ვაშა!“).**

ჩვენ უსაზღვროდ მადლიერი ვართ და პატივს ვცემთ საბჭოთა კავშირსა და საბჭოთა ხალხებს, რომელთა მამაცმა არმიამ ათი წლის წინათ გაგვათავისუფლა ჰიტლერული უბედურებისაგან და რომელთა მუდმივი და უანგარო დახმარებით ჩვენ ეკონომიურად და პოლიტიკურად გარდავქმნით ჩვენს სამშობლოს, ვახორციელებთ მის ინდუსტრიალიზაციას, გარდავქმნით მის სოფლის მეურნეობას, ვავითარებთ მის საწარმოო ძალებს და სოზოგადოებრივ ურთიერთობას მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის დროშით, სოციალიზმის გზით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** დიდი აღფრთოვანებით და გულწრფელი კმაყოფილებით გამოთქვამს ახლა ჩვენი ხალხი თავის მადლობას და სიხარულს ამხანაგების ხრუშჩოვის, ბულგანინისა და მიქოიანის მეგობრული ვიზიტის გამო ჩვენს სამშობლოში.

ჩვენ მოხარული ვართ მივულოცოთ საბჭოთა მთავრობის დელეგაციას, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ბელგრადის მოლაპარაკებაში და ხელი მოაწერა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობების დეკლარაციას, რომ მან მშვიდობის საქმეში შეიტანა წარმატებითი წვლილი, როგორიც, უეჭველია, არის ეს მოლაპარაკება და ხელმოწერილი დეკლარაცია.

ძვირფასო სტუმრებო, ერთხელ კიდევ მოგესალმებით და გეტყვით ჩვენს **„დობრე დოშლი!“ (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში და მძლავრი „ვაშა!“).**

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირსა და მის თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში და მძლავრი „ვაშა!“).**

გაუმარჯოს მშვიდობას! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში და მძლავრი, ხანგრძლივი „ვაშა!“).**

საბჭოთა კავშირი

საღილი იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

ბელგრადი, 2 ივნისი. **(საკდესის სპეც. კორ.).** დღეს საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ სასახლეში დედინიეზე სადილი გამართა იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ სსრ კავშირის დელეგაციის წევრები ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი, დ. ტ. შეპილოვი, ა. ა. გრომიკო და პ. ნ. კუმიკინი, საბჭოთა დელეგაციის მრჩეველები და ექსპერტები.

იუგოსლავიის მხრივ იყვნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრები ი. ბროზ-ტიტო, ე. კარდელი, ა. რანკოვიჩი, ს. ვუკმანოვიჩ-ტემპო, კ. პოპოვიჩი, მ. ტოდოროვიჩი და ვ. მიჩუნოვიჩი, აგრეთვე იუგოსლავიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები და ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

სადილმა გულითადად და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

იუგოსლავიაში სსრ კავშირის საელჩომ დარბაზობა გამართა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ბელგრადში ყოფნის გამო

ბელგრადი, 2 ივნისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის ელჩმა იუგოსლავიაში ვ. ა. ვალკოვმა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ბელგრადში ყოფნის გამო დიდი დარბაზობა გამართა.

დარბაზობაზე იყო მთელი შემადგენლობა იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციისა, რომელიც მონაწილეობას იღებდა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციასთან მოლაპარაკებაში: დელეგაციის მეთაური — იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ი. ბროზ-ტიტო, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილეები ე. კარდელი, ა. რანკოვიჩი, ს. ვუკმანოვიჩ-ტემპო, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კ. პოპოვიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი მ. ტოდოროვიჩი და საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვ. მიჩუნოვიჩი, საკავშირო სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარე მ. პიადე, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი ფ. ლესკოშეკი, პროფკავშირთა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე დ. სალაი, სერბიის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე ი. ვესელინოვი, საკავშირო სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სიმიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი ს. კოსანოვიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს მდივანი ვ. ზეკოვიჩი, ქალაქ ბელგრადის საქალაქო სახალხო კომიტეტის თავმჯდომარე მ. მინიჩი, სკუპშჩინის საკავშირო ვეჩეს თავმჯდომარე ვ. ზეჩევიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი ო. კარბეგოვიჩი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სკუპშჩინის საკავშირო ვეჩეს სახალხო მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარე მ. პოპოვიჩი, საკავშირო სკუპშჩინის საგარეო-პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ვლახოვიჩი, სერბიის სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარის მოადგილე დ. პეტროვიჩი, სახალხო თავდაცვის საქმეთა სახელმწიფო მდივანი ი. გოშნიაკი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახელმწიფო მდივანი ს. სტეფანოვიჩი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საქმეთა სახელმწიფო მდივანი ი. გრეტიჩი, საზოგადოებრივი სამმართველოს და ბიუჯეტის საქმეთა სახელმწიფო მდივანი ნ. ბოჟინოვიჩი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის მოადგილეები ს. პრიცა და ხ. ბრკიჩი, სახალხო თავდაცვის საქმეთა სახელმწიფო მდივნის მოადგილეები ო. კრეაჩიჩი, ვ. ნიკოლიჩი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალური მდივანი ი. ვილფანი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დ. ვიდიჩი, სერბიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ხელიჩი, სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი ზ. ულეპიჩი, იუგოსლავიის არმიის გენერლები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები და სხვები.

საბჭოთა მხრივ დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო და საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ექსპერტები და მრჩეველები, აგრეთვე იუგოსლავიაში სსრ კავშირის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

დარბაზობაზე იყვნენ საელჩოებისა და მისიების მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან ბელგრადში, აგრეთვე იუგოსლავიის, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

სტუმრებისათვის მოეწყო დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილმა მოღვაწეებმა — სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ე. ჩავდარმა, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტებმა ი. პეტროვმა და პ. ლისიციანმა, სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალეტის სოლისტებმა რ. სტრუჩკოვამ, ა. ლაფაურმა და პიატნიცკის სახელობის გუნდის მოცეკვავეთა ჯგუფმა.

დარბაზობამ განსაკუთრებით გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

დარბაზობა იტალიის რესპუბლიკის საელჩოში

2 ივნისს იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში მარიო დი სტეფანომ დარბაზობა გამართა ეროვნული დღესასწაულის — რესპუბლიკის გამოცხადების დღის გამო.

საბჭოთა მხრივ დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრები ი. ა. ბენედიქტოვი, ნ. ა. მიხაილოვი, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ს. ა. ბორისოვი, ი. გ. ბოლშაკოვი, ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი მ. ა. კოსტილევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ა. ნ. კაპუსტინი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვა პასუხისმგებელი თანამშრომლები, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ა. ი. დენისოვი, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობას დაესწრნენ აგრეთვე მოსკოვში აკრედიტებული საელჩოთა და მისიათა მეთაურები და დიპლომატიური კორპუსის სხვა წევრები. (საკდესი).

ი. მ. სვერდლოვი

70 წელი დაგვიდგა

დღეს შესრულდა 70 წელი ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის უახლოესი თანამებრძოლის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მშენებლის ი. მ. სვერდლოვის დაბადებიდან.

ი. მ. სვერდლოვი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა მშრომელ ხალხს. დიდი ლენინი სვერდლოვს ახასიათებდა როგორც უდიდესი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს. იგი ამბობდა: „ორგანიზატორთა ამგვარი ავანგარდი ჩვენ იმის წყალობით მოგვეპოვება, რომ მათ ცხოვრების მძიმე სკოლა გაიარეს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იატაკქვეშ გვიხდებოდა მუშაობა“.

ი. მ. სვერდლოვი დაიბადა 1885 წლის 4 ივნისს ნიჟნი-ნოვგოროდში (ახლანდელი გორკი) ხელმოკლე გრავიორის ოჯახში. 1895 წელს იგი მიაბარეს ნიჟნი-ნოვგოროდის გიმნაზიაში. გიმნაზიის ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს აფთიაქში. ამ დროიდან იწყება მისი დამოუკიდებელი ცხოვრებაც. 16 წლის ახალგაზრდა უახლოვდება ნიჟნი-ნოვგოროდის რევოლუციონერებს — გადასახლებულ მარქსისტებს. ნიჟნი-ნოვგოროდში ამ დროს შექმნილი იყო მარქსისტული წრეები, აქ ვ. ი. ლენინს რამდენჯერმე მოუხდა ჩამოსვლა. ლენინი ამ წრეებში კითხულობდა მოხსენებებს და რეფერატებს მარქსიზმის თეორიული საფუძვლების დასაცავად და „ლეგალური მარქსისტების“ არასწორ შეხედულებათა გამოსამჟღავნებლად.

1901 წელს სვერდლოვი ნიჟნი-ნოვგოროდის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი ხდება, მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგიით ებმება რევოლუციურ მუშაობაში და მოკლე ხანში იმსახურებს მუშათა ფართო მასების ნდობასა და სიყვარულს. ნიჭიერი პროპაგანდისტი და ორგანიზატორი, იგი ერთდროულად ხელმძღვანელობს მუშათა რამდენიმე წრეს. მას ავალებენ არალეგალური სტამბის მოწყობას. სვერდლოვი სულ მოკლე ხანში ახერხებს ამ მეტად პასუხსაგები დავალების შესრულებას. ამ არალეგალურ სტამბაში იბეჭდებოდა მის მიერ დაწერილი რევოლუციური ფურცლები. 1901 წელს მაქსიმ გორკის როგორც „პოლიტიკურად არასაიმედო“ პიროვნების ქალაქიდან ადმინისტრაციული წესით გასახლების გამო ნიჟნი-ნოვგოროდში მოეწყო მუშათა დემონსტრაცია, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი ი. მ. სვერდლოვი იყო. იმავე წელს ი. მ. სვერდლოვი პირველად დააპატიმრეს დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის.

დიდ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა სვერდლოვი სორმოვოს მუშათა რაიონში, სადაც იგი 1902 წელს გაგზავნა პარტიის ნიჟნი-ნოვგოროდის კომიტეტმა. საპირველმაისო დემონსტრაციის მოწყობის გამო ი. მ. სვერდლოვი დააპატიმრეს. განთავისუფლებისთანავე იგი კვლავ მთელი ენერგიით ებმება რევოლუციურ მუშაობაში, მუშათა წრეებთან ერთად თავის ირგვლივ რაზმავს ნიჟნი-ნოვგოროდის მოსწავლე ახალგაზრდობას, ხელმძღვანელობს მათს წრეებს, წერს და ავრცელებს პროკლამაციებს. ამ დროს ი. მ. სვერდლოვი უკვე პროფესიონალი და სახელმოხვეჭილი რევოლუციონერია. მისი თავდადებული, გაბედული და მტკიცე რევოლუციური ბრძოლა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა მუშებისათვის.

საიდუმლო პოლიცია გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს ი. მ. სვერდლოვს. მუშათა მასებში, მოსწავლე ახალგაზრდობაში მისი დიდი ავტორიტეტი შეუმჩნეველი არ რჩებოდა, და 1903 წლის გაზაფხულზე სვერდლოვს კვლავ აპატიმრებენ. ახალგაზრდა რევოლუციონერი არ უშინდება ციხის აუტანელ პირობებს, საპყრობილეში იგი ეწევა სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას, ამხნევებს, მომავლის იმედს უსახავს იმათ, ვინც მეფის პოლიციამ საპყრობილეში ჩააგდო რევოლუციური მუშაობისათვის. საპყრობილიდან ი. მ. სვერდლოვი გამოვიდა კიდევ უფრო მტკიცე რწმენით — მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირა მშრომელთა განთავისუფლების საქმისათვის.

სორმოვოში ფართოდ გაჩაღდა რევოლუციური მუშაობა. დემონსტრაციის დარბევის შემდეგ მუშები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ. გაფართოვდა წრეები, ხშირად ეწყობოდა მუშათა შეკრებები, სადაც ი. მ. სვერდლოვი მისთვის ჩვეული ენერგიით ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას. პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ მტკიცე ლენინელი ი. მ. სვერდლოვი მუშაობას იწყებს სამხრეთის სამრეწველო რაიონებში, შემდეგ კი მოსკოვში. ის პარტიის ჩრდილოეთის კომიტეტის დავალებით რაზმავს რევოლუციურ მასებს ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში სვერდლოვი — „ამხანაგი ანდრეი“, როგორც მას რევოლუციონერი მუშები უწოდებდნენ, — რუსეთის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში (ეკატერინბურგი, ყაზანი, ნიჟნი-ნოვგოროდი და სხვ.) ამზადებს მასებს შეიარაღებული აჯანყებისათვის, ხელმძღვანელობს მიტინგებს, დემონსტრაციებს, გაფიცვებს, ბრძოლას მუშათა კლასის გამცემთა წინააღმდეგ, აწყობს ბოლშევიკური ლიტერატურის გამოცემას. მუშები მასში ხედავენ საუკეთესო ორგანიზატორსა და ერთგულ, გულისხმიერ ამხანაგს.

ეკატერინბურგის პარტიულმა ორგანიზაციამ ი. მ. სვერდლოვი გაგზავნა დელეგატად ტამერფორსის ბოლშევიკურ კონფერენციაზე, მაგრამ იგი ტამერფორსში დაგვიანებით ჩავიდა და ვერ მოახერხა შეხვედროდა ლენინსა და სტალინს. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ ი. მ. სვერდლოვი ურალში ბრუნდება. გამძიანვარებული რეაქციის პერიოდში წინასწარ შემუშავებული გეგმით ი. მ. სვერდლოვმა მოახდინა პარტიული ძალების გადაჯგუფება, მოაწყო იატაკქვეშეთში ორგანიზებულად გადასვლა და შეინარჩუნა ძირითადი პარტიული კადრები.

1906 წელს მას კვლავ აპატიმრებენ. მაგრამ 1909 წელს ისევ ბრუნდება პეტერბურგში, შემდეგ კი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით გაიგზავნა მოსკოვში, მრავალი დაპატიმრებით დაზარალებული პარტიული ორგანიზაციების აღსადგენად. იმავე წლის ნოემბერში მას ისევ აპატიმრებენ და ასახლებენ ნარიმის მხარეში. 1910 წელს გადასახლებიდან გამოქცეული ი. მ. სვერდლოვი პეტერბურგს ბრუნდება. 1910 წელს ხელმეორედ დაპატიმრეს და საპყრობილეში დიდხანს ყოფნის შემდეგ გადაასახლეს ნარიმის მხარეში. გაქცევის ცდისათვის მას ოსტიაკთა შორეულ დაბა მაქსიმკინიარში გზავნიან.

1912 წელს პრაღის კონფერენციაზე ვ. ი. ლენინის წინადადებით ი. ბ. სტალინთან ერთად ი. მ. სვერდლოვს დაუსწრებლად ირჩევენ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრად. კონფერენციამ რუსეთში რევოლუციური მუშაობის ხელმძღვანელობისათვის შექმნა ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო ი. ბ. სტალინის მეთაურობით. ბიუროს შემადგენლობაში შევიდა ი. მ. სვერდლოვი. 1912 წლის დეკემბერში გადასახლებიდან გამოქცეული სვერდლოვი პეტერბურგში ჩამოდის და ი. ბ. სტალინთან ერთად მუშაობს „პრავდის“ რედაქციაში. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ი. მ. სვერდლოვს დაავალა ხელმძღვანელობა გაეწია სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის საქმიანობისათვის. 1913 წელს თებერვალში ი. მ. სვერდლოვი და ი. ბ. სტალინი დააპატიმრეს და გადაასახლეს შორეულ ტურუხანის მხარეში, პოლარულ წრეს იქით — დაბა კუერეიკაში.

თებერვლის რევოლუციამ ისინი გაათავისუფლა და, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ი. მ. სვერდლოვი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაგზავნა ურალში საოლქო პარტიული კონფერენციის მოსამზადებლად და რევოლუციის ძირითად საკითხებში პარტიის ხაზის განსამარტავად. ურალელმა ბოლშევიკებმა იგი აირჩიეს სრულიად რუსეთის VII (აპრილის) პარტიული კონფერენციის დელეგატად. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მოსამზადებლად ი. მ. სვერდლოვი უაღრესად პასუხსაგებ საქმეებს ასრულებს, ახალი ენერგიით ემსახურება საყვარელ საქმეს, ებრძვის იუდა ტროცკის და სხვა გამცემლებს. აპრილის კონფერენციაზე ი. მ. სვერდლოვი აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო შემდეგ დაამტკიცეს ცენტრალური კომიტეტის მდივნად. იგი თავმჯდომარეობდა ჯერ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 10 ოქტომბრის ისტორიულ სხდომას, რომელზეც ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით გადაწყდა შეიარაღებული აჯანყების დაუყოვნებლივ მოწყობის საკითხი, შემდეგ, 16 ოქტომბერს, ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულ სხდომას, რომელზეც შეიქმნა აჯანყების ხელმძღვანელი პარტიული ცენტრი ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პარტიამ ი. მ. სვერდლოვი დაასახელა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მსოფლიოში პირველი საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელის მაღალ პოსტზე. მგზნებარე ბოლშევიკი, შეუდარებელი ორგანიზატორი უდიდესი ენერგიით მუშაობდა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, ვ. ი. ლენინთან და ი. ბ. სტალინთან ერთად შეუდრეკლად იბრძოდა ტროცკისტთა ბანაკში მოკალთებული კაპიტულანტებისა და მოღალატეების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობდნენ შიგნიდან აეფეთქებინათ პარტია, დაელუპათ ახალგაზრდა სოციალისტური სახელმწიფო.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ი. მ. სვერდლოვს უხდებოდა მრავალი ახალი, რთული სახელმწიფოებრივი საკითხის გადაწყვეტა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეს. ი. მ. სვერდლოვის ინიციატივით შეიქმნა კომუნისტური უნივერსიტეტი, რომელსაც შემდეგში ი. მ. სვერდლოვის სახელი მიენიჭა.

„ამხანაგ სვერდლოვს,—ამბობდა ვ. ი. ლენინი, — წილად ხვდა ჩვენი რევოლუციის მსვლელობაში, მის გამარჯვებებში უფრო სრულად და უფრო მთლიანად გამოეხატა, ვიდრე რომელიმე სხვას, პროლეტარული რევოლუციის ყველაზე მთავარი და ყველაზე არსებითი მხარეები, და სწორედ ამაში მდგომარეობს კიდევ უფრო მეტად, ვიდრე რევოლუციური საქმისადმი მისი თავდადებულ ერთგულებაში, მისი, როგორც პროლეტარული რევოლუციის ბელადის, მნიშვნელობა“ (თხზ., ტ. 29, გვ. 90). ი. მ. სვერდლოვი გარდაიცვალა 1919 წლის მარტში 34 წლის ასაკში. როგორც დიდმა სტალინმა თქვა, იგი „დაიფერფლა პარტიისა და სახელმწიფოს მშენებლობის სამუშაოზე“.

საბჭოთა ხალხი მადლიერების გრძნობითა და პატივისცემით ინახავს იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვის ნათელ ხსოვნას, რომლის შესანიშნავი ცხოვრება შთამაგონებელი მაგალითია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის.

ჯ. ლოლაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოებში შრომის საქმეთა განხილვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოებში შრომის საქმეების განხილვის მდგომარეობის შესახებ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სახალხო სასამართლოები შრომის საქმეებს ძირითადად შრომის კანონმდებლობის შესაბამისად წყვეტენ, მაგრამ ამ დარგში სასამართლოების მუშაობაში ჯერ კიდევ ვხედებით კანონის სერიოზულ დარღვევებს.

იროლვევა შრომის საქმეთა განხილვის კანონით დადგენილი ვადები. 1954 წლის განმავლობაში არსებითად დამთავრებული 5.482 შრომის საქმიდან, კანონით დაწესებული ხუთდღიანი ვადის დარღვევით განხილულია 2.086 საქმე; თბილისის კალინინის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლოში შემოწმებული 30 საქმიდან ვადის დარღვევით განხილულია 15, სტალინის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლოში შემოწმებული 35 საქმიდან — 21 და მოლოტოვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოში შემოწმებული 57 საქმიდან — 35 საქმე. ქუთაისის პირველი და მეორე უბნის სახალხო სასამართლოებში მოქ. ა. სახამბერიძის შრომის საქმის განხილვა გაჭიანურდა 33 თვის განმავლობაში, ხოლო თბილისის კალინინის მესამე უბნის სახალხო სასამართლოში მოქ. ფ. შ. ბოიჩენკოს სამუშაოზე აღდგენის საქმის განხილვა 9 თვეს გრძელდებოდა. ასეთი შემთხვევები იყო აგრეთვე თბილისის სტალინის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლოში, მოლოტოვის რაიონის პირველი უბნის და ქ. გორის სახალხო სასამართლოებში.

1954 წელს საკასაციო წესით გასაჩივრებული 941 საქმიდან გადაწყვეტილება გაუქმებულია 263 საქმეზე, რაც იმას მოწმობს, რომ სახალხო სასამართლოები შრომის საქმეების განხილვის დროს უშვებენ შეცდომებს და გამოაქვთ კანონის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები.

1954 წლის განმავლობაში სახალხო სასამართლოებში განხილული 5.482 შრომის საქმიდან სარჩელი დაკმაყოფილებულია 4.074 საქმეზე, აქედან სამუშაოზე აღდგენის შესახებ 1.254 საქმიდან სარჩელი დაკმაყოფილებულია 764 საქმეზე. მოყვანილი ფაქტები ადასტურებენ, რომ ხშირად სახელმწიფო საწარმოების და დაწესებულებების ხელმძღვანელები უმართებულოდ ითხოვენ მშრომელებს სამუშაოდან და ამით უხეშად არღვევენ შრომის კანონმდებლობას. თავის მხრივ სახალხო სასამართლოები ურიგდებიან ამ მდგომარეობას და სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ აძლევენ თანამდებობის პირებს, რომლებიც უხეშად არღვევენ შრომის კანონმდებლობას.

ვხედებით სასამართლოების გადაწყვეტილებათა შესრულების დაუშვებელი გაჭიანურების ფაქტებს, არის შემთხვევები, როდესაც თვეობით არ სრულდება სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შესულია კანონიერ ძალაში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს სსრ პროკურატურა სუსტად ახორციელებენ ზედამხედველობას სახალხო სასამართლოების საუმაობისადმი და არ იღებენ საჭირო ზომებს სასამართლოების გადაწყვეტილებათა შესრულებისა და შრომის კანონმდებლობის განუხრელად განხორციელებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები და პროფესიული კავშირების ადგილობრივი ორგანოები არ ამოწმებენ საწარმოებსა და დაწესებულებებში შრომის კანონთა დაცვის საკითხებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს ამხ. მ. ლომძეს მიიღოს გადამჭრელი ზომები სასამართლოების მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა უმოკლეს დროში აღმოსაფხვრელად. საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას სახალხო სასამართლოებში შრომის საქმეების კანონით დადგენილ ვადაში განხილვა, პერიოდულად მოეწყოს სახალხო მოსამართლეთა სემინარები შრომის სამართლის საკითხებზე, მიღებულ იქნას ზომები ყველა იმ მუშა-მოსამსახურის სამუშაოზე აღდგენისათვის, რომელთა მიმართ არსებობს სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებანი. მომდინარე წლის ბოლომდე უნდა მომზადდეს გამოსაცემად შრომის კანონთა კოდექსი ქართულ ენაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ამხ. ი. დოლიძეს დაევალა გააძლიეროს ზედამხედველობა შრომის საქმეთა განხილვისადმი, უზრუნველყოს სასამართლოების მიერ დაშვებულ შეცდომათა გამოსწორება და ამასთან დაკავშირებით სახალხო სასამართლოებისათვის შრომის კანონთა შესაბამისი მითითებების მიცემა.

საქართველოს სსრ პროკურორს ამხ. მ. თოფურიძეს დაევალა გაუმჯობესოს ზედამხედველობა შრომის საქმეთა კანონიერად გადაწყვეტისადმი და მიიღოს ზომები საწარმო-დაწესებულებათა იმ ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევენ საბჭოთა შრომის კანონმდებლობას.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალოთ პერიოდულად მოაწყონ საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელთა თათბირები შრომის კანონმდებლობის დაცვის შესახებ.

აღგილობრივმა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი შრომის საქმეთა განხილვისადმი და არ დაუშვან სამუშაოდან მუშა-მოსამსახურეთა უკანონოდ მოხსნა და შრომის ხელფასის ანაზღაურების დარღვევის ფაქტები.

სამინისტროთა და საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა მტკიცედ უნდა დაიცვან საბჭოთა შრომის კანონმდებლობა და უზრუნველყონ შრომის საქმეებზე სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა განუხრელი შესრულება. (საქდესი).

გამოფენის გახსნის წინადღეს



ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი სანიმუშოდ მოემზადა 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა შესახვედრად. დედაქალაქმა თავისი სტუმრებისათვის მზრუნველობით მოამზადა სასტუმროები და საერთო საცხოვრებლები. გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა უმრავლესობა იცხოვრებს ხუთსართულიან სასტუმროებში, რომლებიც აშენებულია გამოფენის მახლობლად ეკლესიის გორაკზე და ფეიქართა ქუჩაზე. მათთვის მომზადებულია ლამაზი დგამ-აუეჯით მოწყობილი ოთახები. სასტუმროების შენობები რადიოფიცირებულია. გამოფენაზე ჩამომსვლელთათვის სასტუმროების შენობებში გახსნილია მაღაზიები, სასადილოები, საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილებები, შემნახველი სალაროები, სპარიკმახეროები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა ობიექტები.

საქართველოდან ჩამოსული გამოფენის მონაწილეები და ექსკურსანტები იცხოვრებენ ერთ-ერთ ასეთ სასტუმროში (№ 21) გამოფენის ახლოს. მათ აქ დიეთმოთ სასტუმროს ორი სართული. 31 მაისს და 1 ივნისს უკვე ჩამოვიდნენ და აქ მოთავსდნენ მახარაძის და გურჯაანის რაიონების წარმომადგენლები — გამოფენის მონაწილეები და ექსკურსანტები. ამავე სასტუმროში იცხოვრებენ მოლდავეთის სს რესპუბლიკის წარმომგზავნილები. № 21 სასტუმრო მიიღებს ყველა გაზეთსა და ჟურნალს, რომელიც საქართველოში გამოდის. თავიანთ მშობლიურ ენაზე წაიკითხავენ აქ გაზეთებს სხვა მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულნიც.

გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთათვის სასტუმროების მშენებლობა კვლავ გრძელდება. ჯერჯერობით კი, სანამ ახალი სასტუმროები საექსპლოატაციოდ გადაეცემოდეს, მოსკოვში ჩამოსულ გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა ნაწილი მოთავსდება 22 საერთო საცხოვრებელში, რომლებიც სპეციალურად მოწყობილია მოსკოვის კლუბებსა და სხვა შენობებში.

გამოფენაზე ორგანიზებული წესით ჩამოსული ექსკურსანტები მოსკოვში დარჩებიან ექვს დღეს ნაცვლად შარშანდელი ხუთი დღისა. დამატებითი დღე სპეციალურად განკუთვნილია მოსკოვის ახლოს არსებული მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაობის გასაცნობად, მათი მდიდარი გამოცდილების შესასწავლად. მაგალითად, გამოფენის მონაწილეები და ექსკურსანტები ინახულებენ რამენსკოეს რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობას, რომელმაც შარშან ხოლმოგორის ჯიშის 256 ძროხიდან თვითეულზე 3.262 კილოგრამი რძე მიიღო. ისინი დაათვალიერებენ მიტიშჩის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „პამიატ ილიჩის“ მეურნეობასაც. ამ კოლმეურნეობამ ყოველ მექანიზატორზე შარშან 5.444 მანეთი შემოსავალი მიიღო.

ბევრს საინტერესოს ნახავენ და შეისწავლიან მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებში აქ ჩამოსული მექანიზატორებიც. მათ წაიყვანენ მოსკოვის ოლქის საუკეთესო მტს-ებში — ლენინის, მიტიშჩის და რამენსკოეს მტს-ებში. ცხადია, გამოფენაზე ჩამოსულთა შორის მრავლად იქნებიან საბჭოთა მეურნეობების მუშაკები. ისინი შეისწავლიან მაქსიმ გორკის სახელობის და სხვა საბჭოთა მეურნეობების მუშაობის მდიდარ გამოცდილებას.

ბევრი რამ გაკეთდა გამოფენაზე სალექციო პროპაგანდის წარმატებით მოწყობისათვის. გამოფენის მონაწილეებისა და ექსკურსანტებისათვის მოეწყობა გამოჩენილი მეცნიერების, ცნობილი მეცხოველეების, მოწინავე მექანიზატორების, მაღალი მოსავლის ოსტატების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა მოწინავეების მოხსენებები და ლექციები. ყველა ამ ღონისძიების ორგანიზებულად მოწყობისათვის ხრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პროპაგანდის სამმართველომ შეიმუშავა სპეციალური გეგმა. მარტო ივნისში, მაგალითად, წაკითხულ იქნება 150-ზე მეტი ლექცია. ლექციას ერთ-ერთი პირველი წაიკითხავს მოძმე რესპუბლიკის — საბჭოთა უკრაინის სიმინდის მაღალი მოსავლის ცნობილი ოსტატი მარკ ოზიორნი. სიმინდის მაღალი მოსავლის მიღების საკითხებზე ლექციას წაიკითხავს აგრეთვე ჩუვაშეთის ასსრ ვურნარის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. კოროტკოვი. „საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების დაგეგმვის ახალი სისტემის და პერსპექტიული გეგმების შესახებ“ — ასე ეწოდება მოხსენებას, რომლითაც გამოვლენ ჩვენს ქვეყანაში სახელგანთქმული კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ა. არეპიევი (მოსკოვის ოლქის კუნცევოს რაიონის კოლმეურნეობა „პუტ ნოვოი ეიზნი“), ი. ომელჩენკო (ლენინგრადის ოლქის კინგისეპის რაიონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა) და აგრონომი დ. ვანინი (კურსკის ოლქის ხომუტოვკის რაიონის ხოფელ კალინოვკის კოლმეურნეობა). დაგეგმილია აგრეთვე აკმოლინსკის ოლქის მტს „ავანგარდის“ ცნობილი კომბაინერის სოციალისტური შრომის გმირის გ. ზუბკოვის მოხსენება, რომლითაც ის მსმენელებს გააცნობს თავის გამოცდილებას, თუ როგორ ახერხებს მოხავლის აღებას ყოველგვარი ამინდის პირობებში.

მომდინარე წლის გამოფენაზე მიხი მუშაობის მთელ პერიოდში რეგულარულად ჩამოტანენ ნატურალურ ექსპონატებს. გამოფენის საწყობებიდან საქართველოს სსრ პავილიონმა ამას წინათ მიიღო ვაშლი, ხახვი, კარტოფილი, კომბოსტო, სხვადასხვა სიროფები, უალკოჰოლო და სხვა სასმელები, მურაბები, კომპოტები, ჩურჩხელა, კონსერვები, სამარკო ღვინოები, რომლებმაც ფართო პოპულარობა მოიპოვეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ყოველივე ეს სხვა მრავალ ექსპონატთან ერთად ლამაზად, მიმზიდველად განლაგებულია პავილიონის სტენდებზე. ამ დღეებში მიღებულ იქნა საქართველოდან კიტრი, მარწყვი, ალუჩა და ბალი; მახარაძის რაიონიდან სოფელ მელექედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გამოგზავნა და ამ დღეებში საქართველოს პავილიონში მოიტანეს ხულგუნის რამდენიმე ექსპონატი, მათ შორის ერთი კვერი, რომელიც 58 კილოგრამს იწონის. პავილიონში გამოფენილია საქართველოში დამზადებული სხვა ყველიც.

ამ დღეებში ჩვენი პავილიონის ახლოს მდებარე პატარა ვენახში ვაზი მავთულზე აკრეს.

31 მაისს საქართველოს სსრ პავილიონი მიიღო სპეციალურმა კომისიამ. მის აქტში ჩაწერილია, რომ პავილიონი მიღებულია ფრიადი შეფასებით.

ამავე დღეს გამოფენის წარმომადგენლები მუშაობას შეუდგნენ დედაქალაქის ყველა ვაგზალში. ამ დღეს მოსკოვმა უკვე მიიღო გამოფენის 2.500-მდე მონაწილე და ექსკურსანტი.

ლ. ასტვაცატუროვი,
ს. რიეინაშვილი.

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

* * *

სურათზე: საქართველოს სსრ პავილიონი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სიმინდის თოხნა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1 ივნისის ცნობებით რესპუბლიკის კოლმეურნეობებში სიმინდი გათოხნილია 39.508 ჰექტარზე, გეგმა შესრულებულია 14,8 პროცენტით.

ახალციხის რაიონში სიმინდის თოხნის გეგმა შესრულებულია 15,5 პროცენტით, ადიგენის — 18,4, ასპინძის — 3,5, ხაშურის — 31,4, ქარელის — 5,6, გორის — 31,6, კასპის — 34,1, ბორჯომის — 19, დუშეთის — 22,3, თეთრი წყაროს — 23,6, გურჯაანის — 63,1, კაჩრეთის — 44,4, სიღნაღის — 37,4, წითელწყაროს — 48,8, თელავის — 42,2, ახმეტის — 49, ყვარლის — 75,2, ლაგოდეხის — 38,8, გარეუბნის — 14,6, მცხეთის — 14,1, გარდაბნის — 43, მარნეულის — 84,7, ბოლნისის — 84,6, საგარეჯოს — 46,8, დმანისის — 26,6, ცხინვალის — 1,8, გეგეჭკორის — 3,1, ზუგდიდის — 5, ხობის — 3,3, წალენჯიხის — 6,5, მახარაძის — 10,1, ჩოხატაურის — 8,7, ფოთის — 4,7, ქუთაისის — 8, წყალტუბოს — 10,2, სამტრედიის — 1,6, წულუკიძის — 2,3, ვანის — 3,3, ზესტაფონის — 4,7, ჭიათურის — 3,4, საჩხერის — 3,4, ორჯონიკიძის — 4,9, ამბროლაურის — 11,2, ცაგერის რაიონში — 4,8, აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში — 2,7, აჭარის ასსრ რესპუბლიკაში — 4, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 17,2 პროცენტით.

რუსთავის მეტალურგთა დელეგაციას სტალინში

სტალინი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). 2 ივნისს რუსთავიდან სტალინოში ჩამოვიდა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის დელეგაცია, რომელსაც სტალინელმა მეტალურგებმა გულთბილი ძმური შეხვედრა მოუწყეს.

ჩამოსვლისთანავე დელეგაცია ეწვია სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანას. უკრაინელი თანამომძღვები სტუმრებს ესაუბრნენ თავიანთი მუშაობის შესახებ, მოიკითხეს მათს ქარხანაში აღზრდილი ქართველი მეტალურგები, რომლებიც ახლა რუსთავში მუშაობენ და მოუთხრეს იმ სიახლეთა შესახებ, რომელთაც ისინი ნერგავენ მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მიმართვის პასუხად.

რუსთავის მეტალურგთა დელეგაცია აქ დარჩება რამდენიმე დღეს. დაათვალიერებს საამქროებს, გაეცნობა მოწინავე მეტალურგთა მუშაობის გამოცდილებას, ხოლო შემდეგ მოეწყობა რუსთავისა და სტალინოს მეტალურგიული ქარხნების კოლექტივებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების განხილვა და გაფორმება.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა საქართველოში

საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1 ივნისისათვის მოკრიფეს 32.441,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ჩაის ფოთლის კრეფის მაისის დაგეგმვა შესრულებულია 109,3 პროცენტით, ხოლო წლიური — 29,5 პროცენტით.

გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 6.435,3 ტონით მეტი ფოთოლი.

ჩაის კრეფის მაისის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს მახარაძის, ბათუმის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ქობულეთის, წულუკიძის, ხობის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, ტყიბულის, წყალტუბოს, ქუთაისის, სამტრედიისა და აბაშის რაიონებმა.

ჩაის კრეფის მაისის გეგმა არ შეასრულეს ბაღდათის, ზუგდიდისა და გალის რაიონებს.

დაიწყო ქერის მკა

ლაგოდეხი. (საკ. კორ. ტელეფონით). ქერი მომწიფდა. კომბაინები მანდვრად გავიდნენ. გუშინ ლაგოდეხის მტს-ის კომბაინერებმა დაიწყეს ქერის შერჩევით მკა. იმ აგრეგატმა, რომელსაც კომბაინერი ს. ციბულსკი ხელმძღვანელობს, 3 ივნისს სოფელ ბუდიონოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში ქერი აიღო 7 ჰექტარზე და თვითეულ ჰექტარზე გალეწა 20 ცენტნერი მარცვალი.

შერჩევითი მკა დაიწყეს აგრეთვე ვარდისუბნის მტს-ის კომბაინერებმაც.

თივის აღება გაჩაღდა

საქართველოს სს რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში გაჩაღდა თივის აღება. წითელის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა თავის მომსახურების კოლმეურნეობებში თივა უკვე აიღო 310 ჰექტარზე, ხოლო ქედის მტს-მა — 159 ჰექტარზე.

თივის აღებას შეუდგნენ აგრეთვე ყაჩაღნის, ასურეთის, თეთრი წყაროს, გურჯაანის, ველისციხის, კაჩრეთის, ლაგოდეხის, მარნეულის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

1 ივნისისათვის სულ რესპუბლიკაში თივა აღებულია 940 ჰექტარზე.

მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მაღალი ხარისხის ჩაი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმმა საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებს ამოცანად დაუსახა განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები მოსავლიანობის გასაადიდებლად და ჩაის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ საპატიო ამოცანის შესასრულებლად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1954 წელს სერიოზული მუშაობა გასწიეს.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1955 წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ 109.950 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და 15.000 ტონა უხეში ჩაის ფოთოლი მწვანე აგურა ჩაის დასამზადებლად. აქედან საპირე მასალა 4.000 ტონა.

მიმდინარე წლის ზამთარში და გაზაფხულზე ჩაის პლანტაციებში მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებები — ნიადაგის გადაბარვა, გასხვლა, სასუქის შეტანა და სხვა სამუშაოები ძირითადად თავის დროზე და ხარისხოვნად შესრულდა. ამასთან თბილი ზამთრის შედეგად წელს ჩაის ბუჩქების ზრდა-განვითარებისათვის გაცილებით უკეთესი პირობებია, ვიდრე შარშან იყო. ეს იმის საშუალებას იძლევა, რომ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა გადაჭარბებით და მაღალი ხარისხით შესრულდეს. საჭიროა ზაფხულში თავის დროზე ჩატარდეს ჩაის პლანტაციებში მოვლის ყველა აგროტექნიკური ღონისძიება.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის პლანტაციების მოვლას. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ახალგაზრდა ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავებას სათანადო ყურადღება არ ექცევა, ხოლო ზოგ შემთხვევაში ეს პლანტაციები დასარეკლიანებულია ეკალ-ბარდით. ასეთ ფაქტებს ეხვდებით გალის, ოჩამჩირის, ზესტაფონის, ცხაკაიას, წულუკიძის და სხვა რაიონებში. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ მომავალში ჩაის ფოთლის მოსავლის გადიდება უმთავრესად უნდა მოხდეს ახალგაზრდა ჩაის პლანტაციების საშუალებით. ეს გარემოება ავალებს ყველა მეჩაიე კოლმეურნეობას სანიმუშოდ მოაწყოს ახალგაზრდა პლანტაციების მოვლა.

ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მინერალური სასუქების, განსაკუთრებით აზოტოვანი სასუქების სწორად და დაწესებულ აგროტექნიკურ ვადებში გამოყენებას. აგროწესებში მოცემული აზოტოვანი სასუქების დოზები მაქსიმალურია. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ კოლმეურნეობებში არსებობს აზრი, რომ უკეთესია ნაწილ პლანტაციებში აზოტოვანი სასუქების შეტანა დიდი დოზებით, დანარჩენ პლანტაციებში კი ამ სახის სასუქი მცირე დოზით შეაქვთ ან მას სრულებით არ იყენებენ. აზოტოვანი სასუქების ძალიან დიდი დოზებით გამოყენება იწვევს ნიადაგის ჭარბ სიმჟავიანობას და პლანტაციების მოსავლიანობა მცირდება. უმთავრესად ამით აიხსნება, რომ უკანასკნელ დროს ზოგიერთ მაღალმოსავლიან პლანტაციაში მოსავლიანობა საგრძნობლად შემცირდა. თვითეულ აგრონომს, ბრიგადირს და მერგოლურს უნდა ახსოვდეს, რომ აუცილებელია ჩაის პლანტაციებში აზოტოვანი სასუქების შეტანა დაწესებულ ვადაში და აგროტექნიკური დოზების დაცვით.

მოსავლიანობის გაზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აგროტექნიკურ ღონისძიებას წარმოადგენს ჩაის ფოთლის სწორი კრეფა. კრეფის წესების დარღვევის გამო შესაძლებელია მოსავლიანობის შემცირება და ფოთლის ხარისხის გაუარესება. ამისათვის ბუჩქებიდან უნდა ავიღოთ ყველა ორ და სამფოთლიანი ნაზი დუყები კვირტებით, ხოლო ნეკზე თევზა ფოთოლს გარდა რჩება ივნისში ერთი ფოთოლი, ხოლო ივლისიდან სეზონის დამლევამდე ბუჩქზე დატოვებულ უნდა იქნას მხოლოდ თევზა ფოთოლი. აუცილებელია ფოთლის კრეფისას არ დავუშვათ შიგ უხეში ფოთლის მინარევი, იმიტომ რომ ასეთი ფოთლები, თუგინდ მცირე ოდენობით შერეული, მკვეთრად აუარესებს პროდუქციის ხარისხს.

გურიანთის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, წყალტუბოს და ტყიბულის ფაბრიკებში შარშან ჩაის ფოთლის მექანიკური ანალიზით გამოირკვა, რომ ჩაბარებულ ფოთოლში ერთფოთლიანი დუყებისა და ცალკეული კვირტების რაოდენობა არასწორი კრეფის გამო მეტ წილ შემთხვევებში 5-10 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ზოგჯერ 20 პროცენტამდე აღწევდა. ასეთი ფოთლის კრეფა იწვევს ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის შემცირებას და ამასთან ჩაის ხარისხის გაუარესებას, რადგან ორ და სამფოთლიანი დუყეზის ნორმალურად ღონის დროს მეტ წილ შემთხვევებში ხდება ერთფოთლიანი დუყებისა და ცალკეული კვირტების გადაწვა. მაშასადამე, არ შეიძლება ბუჩქებიდან აღებულ იქნას ერთფოთლიანი დუყები და ცალკეული კვირტები. მეჩაიე აგრონომებს ევალებათ დააწესონ მტკიცე კონტროლი ამ წესის დაცვისადმი.

ფოთლის ხარისხის გასაუმჯობესებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მკრეფავებისაგან ფოთლის მიღების სწორად მოწყობას. სუბტროპიკული რაიონების საკოლმეურნეო ბრიგადებში ხშირად გამოყოფილია კოლმეურნეები, რომლებსაც „მწონავებს“ უწოდებენ. ისინი აწარმოებენ მკრეფავებისაგან ჩაის ფოთლის მხოლოდ მიწონვას, არ განსაზღვრავენ ფოთლის ხარისხს და ყველა მკრეფავისაგან მიღებულ ფოთოლს აგროვებენ ერთად და აბარებენ ჩაის ფაბრიკის დამამზადებელ პუნქტს. ამის გამო ხშირია ხარისხის განსაზღვრაზე დავა ჩაის ფაბრიკებსა და ჩამბარებლებს შორის. ეს იმ დროს, როდესაც ამ პირებს ფოთლის წონისა და დამამზადებელ პუნქტებში ჩაბარებისათვის ერთ თვეში ეწერებათ 25-30 შრომადღე. კოლმეურნეობებში ფოთლის მიღების ასეთი წესი უსათუოდ უნდა აღიკვეთოს. საჭიროა ჩაის ფოთლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კოლმეურნეობების ბრიგადებში გამოყოფილი მწონავები იყვნენ ფოთლის ხარისხის გამსაზღვრელნი და მიმღებნი. სასურველია ფოთლის მიმღებნი იყვნენ აგროტექნიკუმდამთავრებულნი ან საშუალო განათლების მქონე ადამიანები, რომლებსაც დაევალებათ მკრეფავებისაგან ფოთლის მიღება ხარისხების მიხედვით. თუ აღმოჩნდება, რომ ფოთოლი მოკრეფილია სახელმწიფო სტანდარტის დარღვევით, მიმღებმა მკრეფავს უნდა დაავალოს ფოთლის გადარჩევა. ამის შემდეგ მიმღები ფოთოლს ხარისხის მიხედვით აბარებს ფაბრიკის დამამზადებელ პუნქტს. ამასთან მიმღების მოვალეობაა ადგილზევე შეამოწმოს კრეფის ხარისხი, კრეფის წესების დარღვევის შემთხვევაში მისცეს მათ სათანადო მითითება, ახსნა-განმარტება სახელმწიფო სტანდარტის დაცვის უზრუნველსაყოფად. მიზანშეწონილია კრეფის წესების სისტემატურად დამრღვევთა საკითხი განიხილონ კოლმეურნეთა საერთო კრებებზე მათ მიმართ საკოლმეურნეო წესდებით გათვალისწინებული ზომების მისაღებად.

არ შეიძლება ფოთოლი მოიკრიფოს კალთაში ან ტომრებში, რასაც მიმართავს ზოგიერთი მკრეფავი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის ფოთლის დროულად გადატანას დამამზადებელ პუნქტებში, რადგან კარგი ხარისხის ფოთოლი ცუდი გადაზიდვის გამო შესაძლებელია დაზიანდეს და გაფუჭდეს. საჭიროა ფოთოლი გადაიზიდოს ისეთი ყუთებით ან გოდრებით, რომელთა მოცულობა არ აღემატება 25 კილოგრამს. ამასთან აკრძალულია ფოთლის ჭურჭელში დაბეჭვა-დატენვა. წესით ფოთოლი დამამზადებელ პუნქტს ბარდება დღეში სამჯერ მაინც. დილის ნაკრეფი — დღის პირველ საათამდე, ნაშუადღევს ნაკრეფი — დღის 4 საათამდე და საღამოს პირას ნაკრეფი ფოთოლი ღამის 11 საათამდე. დაგვიანებით დადაზიდვის გამო ფოთოლი წონაში იკლებს, რაც ხელსაყრელი არ არის ჩამბარებლისათვის, აგრეთვე ფაბრიკისათვის, რადგან სხვადასხვა დროს მოკრეფილი, ერთმანეთში არეული ფოთოლი ფაბრიკაში არათანაბრად მოიღნობა, ზოგ შემთხვევაში კი ნაწილი გადაიწვება.

შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამომუშავების ნორმების სწორად განსაზღვრას. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჩაის ფოთლის კრეფაზე არ აწესებენ დიფერენცირებულ გამომუშავების ნორმებს. ფოთლის კრეფის მთელ სეზონში წესდება ერთიანი ნორმა, უკეთეს შემთხვევაში ნორმებს საზღვრავენ თვეების მიხედვით. ამასთან აწესებენ მეტად მაღალ ნორმებს, რომლების შესრულება არ შეუძლიათ სამუშაო დღის სრული დატვირთვის პირობებში კეთილსინდისიერ მკრეფავებს. გამომუშავების არასწორი ნორმები მეჩაიეთა ნაკლებ დაინტერესებას იწვევს და ხელს უშლის შრომის ნაყოფიერების გადიდებას. აუცილებელია კრეფის გამომუშავების ნორმები შემუშავდეს დიფერენცირებულად, ბუჩქებზე შემოსული ფოთლის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

ახლა ჩაის ფოთოლი უხვად არის შემოსული. არის დიდი შესაძლებლობა, რომ ყველა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, რაიონმა წარმატებით შეასრულოს დავალება. ივნისში ჩაის კრეფის ტემპი გადაჭრით უნდა გაძლიერდეს. გასულ წლებში ზოგიერთი მეურნეობა წინა თვეების ფოთლის დანაკლისის შესრულებას ვარაუდობდა ოქტომბერში, რაც მომავალში არ იქნება დაშვებული. ოქტომბერში მოკრეფილი ფოთოლი დაბალხარისხოვანია თავისი შემადგენლობით და მისგან მიიღება ძლიერ დაბალი ხარისხის ჩაი, თუნდაც ის ნაზი იყოს. რესპუბლიკის უმეტეს რაიონებში ოქტომბერში თითქმის წყდება ჩაის ბუჩქის ვეგეტაცია (ზრდა-განვითარება). საჭიროა მივიღოთ გადამწყვეტი ზომები ნედლეულის თავის დროზე დამზადებისათვის.

მეტი რაოდენობით უმაღლესი ხარისხის ჩაის მიღების საქმეში კარგი ნედლეულის კრეფასა და დამზადებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს დამამზადებელ პუნქტებზე ჩაის ფოთლის მიღების, შენახვისა და ფაბრიკებში გადაზიდვის სწორ ორგანიზაციას და მის გადამუშავებას.

ფაბრიკებში ხშირად ირღვევა ტექნოლოგიური რეჟიმი. ამის დამადასტურებელია ზოგიერთი ფაბრიკის პროდუქციის შარშანდელი მაჩვენებლები. ქუთაისის რაიონის ოფურჩხეთის ჩაის ფაბრიკისათვის ფოთლის ჩამბარებელი კოლმეურნეობების პლანტაციები უკეთეს ეკოლოგიურ პირობებშია, ვიდრე წყალტუბოს ჩაის ფაბრიკის ფოთლის ჩამბარებელ კოლმეურნეობათა პლანტაციები. მიუხედავად ამისა, ოფურჩხეთის ჩაის ფაბრიკამ გასულ წელს მიიღო 36-37 პროცენტი უმაღლესი ხარისხის ჩაი, ხოლო წყალტუბოს ფაბრიკამ 46 პროცენტი, ამასთან ოფურჩხეთის ფაბრიკის მიერ ჩაბარებული ნედლეული წყალტუბოს ფაბრიკის მიერ მიღებულ ფოთოლს არ ჩამოუვარდებოდა.

ლანჩხუთის ფაბრიკისათვის ჩაის ჩამბარებელ კოლმეურნეობათა ჩაის პლანტაციები გაცილებით უფრო ცუდ ეკოლოგიურ პირობებშია, რადგან ამ კოლმეურნეობების უმეტესი პლანტაციები მდებარეობენ კოლხიდის ზონის ტერიტორიაზე, ვიდრე მამათის ფაბრიკისა. მიუხედავად ამისა, ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკამ მიიღო 51-62 პროცენტამდე უმაღლესი ჩაი, მამათის ფაბრიკამ კი 40-49 პროცენტი. მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება. ასეთი ფაბრიკების მუშაკები თავიანთ ცუდ მუშაობას მთლიანად ნედლეულს აბრალებენ. ამ გარემოებას „საქართველოს ჩაის“ ტრესტმა უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება და უზრუნველყოს მეტი რაოდენობით უმაღლესი ხარისხის ჩაის პროდუქციის გამოშვება.

ჩვენი ჩაის მრეწველობა შეიარაღებულია პირველხარისხოვანი ტექნიკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ინფორმაციის სამსახურის ცნობა

ვენა, 1 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა ინფორმაციის სამსახურმა გადასცა ცნობა, რომელშიც ნათქვამია: როგორც ცნობილი გახდა, სსრ კავშირის უმაღლესმა კომისარმა ავსტრიაში ი. ი. ილიჩოვმა 1 ივნისს აცნობა ფედერალურ კანცლერ იულიუს რააბს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტეს ავსტრიის ხელისუფლათა განკარგულებაში გადასცენ 46 შენობა, რომელთა საერთო ფართობი 25 ათას კვადრატულ მეტრს აღემატება, და 20 ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთები, რომლებიც წინათ საბჭოთა ჯარებს ეკავათ.

ავსტრიის პარლამენტის მთავარი კომიტეტის სხდომა

ვენა, 2 ივნისი. (საკდესი). გუშინ გაიმართა ავსტრიის პარლამენტის მთავარი კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა სახელმწიფო ხელშეკრულების ტექსტი და პარლამენტის ოთხი ფრაქციის თავმჯდომარეთა 25 მაისის ერთობლივი წინადადება.

სხდომას დაესწრნენ კანცლერი რააბი, ვიცე-კანცლერი შერფი, საგარეო საქმეთა მინისტრი ფიგლი, სტატს-მდივანი კრეისკი, აგრეთვე პარლამენტის მთელი რიგი დეპუტატები, რომლებიც მთავარი კომიტეტის წევრები არ არიან.

სახელმწიფო ხელშეკრულების შესახებ მოხსენება გააკეთა ავსტრიის სახალხო პარტიის დეპუტატმა ტონჩიჩმა. მან აღნიშნა, რომ ეს ხელშეკრულება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემათა გადაჭრაში და ამიტომ მისი მნიშვნელობა წმინდა ავსტრიულ საკითხთა ფარგლებს სცილდება. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელშეკრულების მიზანია დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენა.

„დამოუკიდებელთა კავშირის“ დეპუტატმა შტენდებანმა გააკრიტიკა სახელმწიფო ხელშეკრულების მთელი რიგი მუხლები.

სახალხო პარტიის დეპუტატმა მალეტამ აღნიშნა, რომ მთელი ავსტრიელი ხალხი მიესალმება სახელმწიფო ხელშეკრულების ხელისმოწერას.

კანცლერმა რააბმა, კერძოდ, თქვა: „ჩვენ შეგვიძლია გულითადად მივესალმოთ სახელმწიფო ხელშეკრულების ხელისმოწერას. მაგრამ მე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფო ხელშეკრულებისათვის ხმის მიცემა ნიშნავს პასუხისმგებლობას ყოველი მისი ცალკე პარაგრაფისათვის. ამ საკითხისათვის ხმის მიცემის დროს თვითეული დეპუტატი გამოთქვამს თავის თანხმობას ხელშეკრულების ყველა მუხლისა და პარაგრაფისადმი“.

აღნიშნა რა შემდეგ, რომ სახელმწიფო ხელშეკრულება წვლილია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, რააბმა განაცხადა: „ჩვენ ნეიტრალიტეტას მომხრენი ვართ. ჩვენ უკვე ისეთივე ნეიტრალური სახელმწიფო ვართ, როგორიც შეიცარიაა. პარლამენტს შეესაძლებლობა ეძლევა მიიღოს შესაბამისი კონსტიტუციური კანონი. მომავალში ნეიტრალიტეტი უნდა გახდეს ავსტრიის პოლიტიკის პრინციპი“.

შემდეგ გამოვიდა ვიცე-კანცლერი შერფი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა მოსკოვის მოლაპარაკების ისტორიული მნიშვნელობა. „1918 წლიდან, — თქვა მან, — ავსტრიამ თავის ისტორიაში პირველად მიიღო დიდი საწარმოები, რომლებიც ავსტრიის ეკონომიურ ძალას წარმოადგენენ“. ავსტრიის ეკონომიური ძალა „ავსტრიის უნდა ემსახურებოდეს და არა უცხოელთა კონცერნებს“. შერფმა სანანული გამოთქვა დასავლეთ გერმანიის ეკონომიური პრეტენზიების გამო. დასასრულ მან თქვა, რომ სულით და გულით მიესალმება სახელმწიფო ხელშეკრულებას, რადგან იგი ავსტრიის ინტერესებს შეესაბამება.

სახელმწიფო ხელშეკრულების მუხლობრივი განხილვის შემდეგ მთავარმა კომიტეტმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება — წინადადებით მიმართოს პარლამენტს მოიწონოს ხელშეკრულების ტექსტი კონსტიტუციური წესით.

შემდეგ პარლამენტის მთავარი კომიტეტი შეუდგა პარლამენტის ოთხი ფრაქციის თავმჯდომარეების — მალეტას, პიტერმანის, კრაუსისა და კოპლენიგის ერთობლივი წინადადების განხილვას ავსტრიის მუდმივი ნეიტრალიტეტის შესახებ, წინადადებისა, რომელიც პარლამენტის 25 მაისის სხდომაზე განიხილეს.

მთავარმა კომიტეტმა ერთხმად გადაწყვიტა რეკომენდაცია მისცეს პარლამენტს მიიღოს ეს წინადადება.

სახელმწიფო ხელშეკრულებისა და პარლამენტის ოთხი ფრაქციის თავმჯდომარეთა წინადადების ტექსტის განხილვა მათი შემდგომი დამტკიცების მიზნით მოხდება პარლამენტში 7 ივნისს (ეროვნული საბჭო) და 8 ივნისს (ფედერალური საბჭო).

საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის მომავალი გამომგზავრებისათვის

ვაშინგტონი, 3 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა და მიწათმოქმედების სამინისტრომ გამოაცხადეს, რომ 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე საბჭოთა კავშირს ეწვევა დელეგაცია ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის 12 მუშაკის შემადგენლობით.

სახელმწიფო დეპარტამენტისა და მიწათმოქმედების სამინისტროს ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკის დელეგაციაში ფართოდ იქნება წარმოდგენილი ამერიკის სოფლის მეურნეობა, დელეგაციის წევრები იქნებიან ადამიანება, რომლებიც ცნობილი არიან ფერმერთა შორის და სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევ წრეებში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ფერმერთა ეროვნულ ორგანიზაციებს, ათოვის შტატის კოლეჯს და სხვა კოლეჯებს წინადადება მიეცათ დაეწყონ დელეგაციის წევრთა კანდიდატურების წინასწარი დასახელება. საბოლოო შერჩევას მოახდენს საზოგადოებრიობის წარმომადგენლთა არაოფიციალური ჯგუფი, რომელსაც დანიშნავენ სახელმწიფო მდივანი და მიწათმოქმედების მინისტრი. უკვე ახლა, აღნიშნულია განცხადებაში, რამდენიმე ასეულმა კაცმა გამოთქვა სურვილი მიიღოს მონაწილეობა მგზავრობაში.

განცხადებაში შემდეგ ნათქვამია, რომ რამდენადაც ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის გამგზავრება საბჭოთა კავშირში „არაოფიციალური იქნება, საგზაო ხარჯების ანაზღაურება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახსრებიდან გათვალისწინებული არ არის“.

დასავლეთგერმანელი მეცნიერები საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ

ბერლინი, 3 ივნისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან დაბრუნებულმა დასავლეთგერმანელ მეცნიერთა ჯგუფმა მოაწყო პრესკონფერენცია, რომელზეც ილაპარაკა მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისსა და სსრ კავშირის სხვა ქალაქებში ყოფნის შესახებ.

ხელოვნებათმცოდნემ პროფესორმა ზეკერმა აღნიშნა „საბჭოთა ადამიანების უდიდესი ინტერესი ხელოვნებისა და მხატვრული შემოქმედებისადმი“. „მე, — თქვა მან, — ვნახე დრეზდენის სურათების გალერეის შედევრები, რომლებიც საბჭოთა კავშირმა გერმანელ ხალხს დაუბრუნა და ამკაბად გამოფენილია პუშკინის სახელობის მუზეუმში. ამ გამოფენას ყოველდღე ათვალიერებს ათასობით საბჭოთა მოქალაქე. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე იმან, თუ რა მშვენივრად აღუდგენიათ სურათები საბჭოთა სპეციალისტებს; უკეთესის წარმოდგენა შეუძლებელია“.

პროფესორმა გალინგერმა აღნიშნა „ადამიანისათვის ზრუნვა“, რაც მან საბჭოთა კავშირში ნახა, და გულითადი მიღება, რაც დასავლეთგერმანელ მოღვაწეებს აღმოუჩენეს.

საგაფიცვო მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში

ინგლისი

ინგლისელ რკინიგზელთა გაფიცვა სერიოზულ გავლენას ახდენს ინგლისის ეკონომიკაზე. ქვანახშირის გადახვიდვის შემცირება, რაც უკვე აღინიშნა ბევრ რაიონში, როგორც ფექრუარ, უშინაარეს ყოვლისა გავლენას მოახდენს მეტალურგიულ მრეწველობაზე.

„ეორკშირ პოსტი“ იუწყება, რომ მეტალურგიული მრეწველობის ცენტრი სკანტორპი ლინკოლნშირის საგრაფოში, რომელიც ინგლისის თუჯის მეხუთედ ნაწილს და ინგლისის ფოლადის მეათედ ნაწილს აწარმოებს, „სერიოზულად დაზარალდება“ შემდეგ კვირაში და რომ უკვე ყველა ქარხანამ დაიწყო კოქსის წარმოების შემცირება ქვანახშირის მარაგის გამოლევის გამო. კვირის დამლევისათვის კოქსის ღუმელები სანახევროდ იმუშავებენ.

1 ივნისს ბირმინჰამის სასროლი ფარაღის ქარხანა „ბირმინჰამ სმოლ არმსში“ გაიმართა დირექტორთა საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელმაც განიხილა ფოლადის ნაკლებობის გამო შექმნილი მდგომარეობა.

გრძელდება დოკერთა გაფიცვები ლონდონსა და ჩრდილოეთ ნავსადგურებში. როგორც პრეს ასოშიეიშნის საგაზეთო თეფსა, კვლავ გაფიცულია 20 ათასი კაცი; 156 გემი გაჩერებულია 7 ნავსადგურში, რომლებსაც გაფიცვა მოედო; ხოლო 82 გემს მხოლოდ ნაწილობრივ უწევენ მომსახურებას.

ბელგია

ბელგიის ელექტროტექნიკური მრეწველობის უდიდესი საწარმოს „ასეკის“ (ქალაქი შარლერუა) მუშებმა მოაწყეს ერთი ხათის გაფიცვა იმისათვის, რომ მხარი დაუჭირონ ამ საწარმოს მგრაგნავთა და მონტიორთა მოთხოვნას ხელფასის გადიდების შესახებ.

შარლერუას ქარხანა „ასეკის“ ამ პროფესიის მშრომელებმა რამდენიმე კვირის წინათ წამოაყენეს მოთხოვნა ხელფასის გადიდების შესახებ. მაგრამ მეწარმეები კვლავ უარს ამბობენ დააკმაყოფილონ მათთვის წარდგენილი მოთხოვნები. ამასთან დაკავშირებით „ასეკის“ მუშებმა მიიღეს გადაწყვეტილება ყოველ კვირაში მოაწყონ სოლიდარობის ერთი საათის გაფიცვა.

საფრანგეთი

საფრანგეთში საგაფიცვო ბრძოლა ძლიერდება. მშრომელები მოითხოვენ თავიანთი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. შრომის საყოველთაო კონფედერაციაში შემავალმა ქიმიადღის მრეწველობის მშრომელთა პროფკავშირების ფედერაციამ მოაწყო 24 საათის გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 6 ათასმა მუშამ. გაფიცვას აქტიურად დაუჭერეს მხარი მუშებმა, რომლებიც შედიან „ფორს უვრიერის“ პროფკავშირებში და „საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციაში“. ბუშ-დიუ რონს, ზემო საფოიისა და იზერის დეპარტამენტების ქიმიადღის ფაბრიკებში გაფიცვაში მონაწილეობდა მუშათა 95 პროცენტამდე. გაფიცვა მომდინარეობდა ხელფასის გადიდების მოთხოვნის ნიშნით.

შრომის საყოველთაო კონფედერაციაში, „ფორს უვრიერსა“ და „საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციაში“ შემავალი პროფკავშირები აწყობენ სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარების სალარიების მოსამსახურეთა გაფიცვას, რომელიც მოითხოვენ ხელფასის მომატებას.

ინდოეთი

ერთი თვე გავიდა, რაც დაიწყო ქალაქ კანპურის ფეიქართა გაფიცვები. მეწარმეებსა და შტატის ხელისუფალთ კვლავ შეუფიგებელი პოზიცია უკავიათ და უარს ამბობენ მუშებთან მოლაპარაკების დაწყებაზე გაფიცვის დამთავრებამდე. 1 ივნისს გაიმართა გაფიცულთა მიტინგი. გაფიცულებმა გადაწყვეტეს განაგრძონ ბრძოლა, სანამ ადმინისტრაცია არ მიიღებს მათს მოთხოვნებს. ქალაქ გორაკხპურის პროფკავშირული მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება შეაგროვონ სახსრები კანპურის გაფიცულ ფეიქართა დახმარების ფონდში.

2 ივნისი. (საკდესი).

სსრ კავშირთან იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის

პეკინი, 2 ივნისი. (საკდესი). როგორც იაპონიიდან იუწყებიან, ტოკიოში გაიმართა სსრ კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის იაპონიის ეროვნული საბჭოს კრება, რომელსაც დაესწრნენ იაპონია-საბჭოთა კავშირისა და იაპონია-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოებათა, იაპონიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის, პროფკავშირთა გენერალური საბჭოს, აგრეთვე იაპონიის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები.

ორატორები მოითხოვდნენ სსრ კავშირთან ურთიერთობის უსწრაფეს ნორმალიზაციას.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც შეიცავს მოწოდებას, რომ მოხდეს პარლამენტების დელეგაციათა გაცვლა საბჭოთა კავშირთან.

შეიქმნა ჩინეთ-ინდონეზიის მეგობრობის საზოგადოება

პეკინი, 2 ივნისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ 1 ივნისს პეკინში გაიმართა ჩინეთ-ინდონეზიის მეგობრობის საზოგადოების შექმნისადმი მიძღვნილი კრება.

კრებას დაესწრნენ ინდონეზიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალი სასტროამიჯოიო და მისი თანმხლები პირები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ჩენ ი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გო მო-ჟო და სხვები.

ჩინეთ-ინდონეზიის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულია ბურხანი, რომელიც ჩინელ მუსულმანთა ასოციაციის თავმჯდომარეა.

გაზეთი „ენმინჟიბაო“ მოწონავე სტატიაში, მიესალმება რა ჩინეთ-ინდონეზიის მეგობრობის საზოგადოების შექმნას, წერს, რომ ჩინელი და ინდონეზიელ ხალხთა ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა შეწყდა კოლონიზატორთა მიზეზით, მაგრამ ორივე ხალხის ხანგრძლივმა ბრძოლამ კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ განამტკიცა მათი მეგობრობა და ურთიერთგაგება.

ჩინეთისა და ინდონეზიის მეგობრობასა და თანამშრომლობას, აცხადებს გაზეთი, ბრწყინვალე მომავალი აქვს და ჩინელი ხალხი სავსებით უპერს მხარს ამ თანამშრომლობას, რომელიც ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცებას აზიისა და მთელ მსოფლიოში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია

ჟენევა, 2 ივნისი. (საკდესი). გუშინ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის 38-ე სესიის პლენარულ სხდომაზე თავმჯდომარედ აირჩიეს ჩილის წარმომადგენელი გარსია ოლდინი. აირჩიეს აგრეთვე 3 ვიცე-თავმჯდომარე. მთავრობის დელეგატთაგან კონფერენციის ვიცე-თავმჯდომარედ არჩეულია პოლონეთის წარმომადგენელი ლეონ ხაინი, პროფკავშირთა დელეგატებისაგან — ერნანდესი (ფილიპინები), მეწარმეთა დელეგატებისაგან — სნედონი (ინგლისი).

კონფერენციამ აირჩია აგრეთვე გენერალური კომიტეტი კონფერენციის მუშაობის ხელმძღვანელობისათვის. გენერალური კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულია საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ა. არუთინიანი.

მთავრობის დელეგატთა ჯგუფმა აირჩია ბიურო, რომელშიც შედიან ჯგუფის თავმჯდომარე — მექსიკის წარმომადგენელი კალდერონ პუეგი და თავმჯდომარის მოადგილეები — უკრაინის სსრ წარმომადგენელი ა. სელივანოვი და იაპონიის წარმომადგენელი ტაცუკე. პროფკავშირთა დელეგატებისა და მეწარმეთა დელეგატების ჯგუფებმაც აირჩიეს თავიანთი ბიუროები.

არგენტინის პრეზიდენტმა ხუან პერონმა დაათვალიერა საბჭოთა კავშირის სამრეწველო გამოფენა ბუენოს-აირესში

ბუენოს-აირესი, 3 ივნისი. (საკდესი). გუშინ არგენტინის პრეზიდენტმა ხუან პერონმა არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრის რემორინოს, ეკონომიკის საქმეთა მინისტრის მორალესისა და არგენტინის მთავრობის მთელ რიგ სხვა წევრთა თანხლებით დაათვალიერა საბჭოთა კავშირის სამრეწველო გამოფენა ბუენოს-აირესში. არგენტინის პრეზიდენტ პერონს გამოფენაზე ახლდნენ სსრ კავშირის ელჩი არგენტინაში რეზანოვი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი არგენტინაში მანეულო და გამოფენის დირექტორი ვირაბიანი.

პერონი და მისი თანმხლები პირები გამოფენას ათვალიერებდნენ ორი საათის განმავლობაში. დათვალიერების შემდეგ არგენტინის პრეზიდენტმა გამოფენის შთაბეჭდილებათა წიგნში შემდეგი ჩაწერა: „ჩვენ, შრომის ადამიანები, აღტაცებული ვართ იმით, რომ საბჭოთა კავშირმა თავისი ღონისძიებებითა და მსხვერპლით მიაღწია სიდიადეს. ჩვენ გვსურს განვაგრძოთ ეს მეგობრობა მეგობარი და მომმე ხალხების შემდგომი თანამშრომლობის საკეთილდღეოდ. ხუან პერონი“.

საბერძნეთში აშენებენ აეროდრომებს რეაქტიული თვითმფრინავებისათვის

ათენი, 3 ივნისი. (საკდესი). გაზეთ „ნეას“ ცნობით, უახლოეს ხანში დაიწყება მუშაობა მარიცის (ევნუსული ოდოსი) აეროდრომის დასაშენებლად გზის მოსაასფალტებლად და ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოტანილი აპარატურის დასადგმელად.

ორი თვის შემდეგ, წერს გაზეთი, ამ აეროდრომზე დაშენება შეეძლებათ რეაქტიულ თვითმფრინავებს. განიხილავენ აგრეთვე კუნძულ კოსზე აეროდრომის მშენებლობის დამთავრების საკითხს.

შვეიცარიის შრომის პარტიის VI ყრილობა

ვენა, 2 ივნისი. (საკდესი). როგორც შვეიცარიის გაზეთი „ფორვერტსი“ იუწყება, 28-30 მაისს მიმდინარეობდა შვეიცარიის შრომის პარტიის VI ყრილობა. დარბაზი, სადაც ყრილობა მიმდინარეობდა, მორთული იყო მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის პორტრეტებით, პლაკატებითა და ლოზუნგებით: „ერთიანობა მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — მშვიდობის ბურჯს!“, „ატომური იარაღის აკრძალვისა და მოსპობისათვის!“.

მოხსენება თემაზე „შვეიცარიის შრომის პარტია მშვიდობის, ერთიანობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში“ გააკეთა პარტიის გენერალურმა მდივანმა ედგარ ვოიგმა. მოხსენება პარლამენტის არჩევნებისა და შრომის პარტიის მოქმედების პროგრამის შესახებ გააკეთა ჟან ვენსამმა. კამათში მონაწილეობა მიიღო 30 ორატორმა. მათ გაუზიარეს დამსწრეთ მუშაობის გამოცდილება და ილაპარაკეს პარტიის მომავალი ამოცანების შესახებ.

შვეიცარიის შრომის პარტიის VI ყრილობის სახელზე მოვიდა 18 მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიის მისალმებანი. ყრილობის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მოისმინეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება.

მისალმებაში ნათქვამია:

შვეიცარიის შრომის პარტიის VI ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სალამს უძღვნის შვეიცარიის შრომის პარტიის VI ყრილობას და უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობასა და წარმატებას პარტიის წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ყრილობის დელეგატებმა მოაწონეს შემდეგი ტექსტი სალამის დეპეშისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე:

„შვეიცარიის შრომის პარტიის VI ყრილობა აღფრთოვანებით შეხვდა თქვენს მისალმებას. იგი ფასდაუდებელი მხარდაჭერაა ბრძოლაში, რომელსაც ჩვენი პარტია ეწევა მთელი მსოფლიოს კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან ერთად მშვიდობისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის, საყოველთაო განიარაღებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის, სოციალური პროგრესისა და სოციალიზმისათვის. ყრილობა მადლობას გიძღვნით თქვენი ყურადღებისათვის და ძმურ სალამს გითვლით“.

ყრილობამ ერთხმად მიიღო პარტიის მოქმედების პროგრამა, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა შეიტანა, და მიმართა შვეიცარიელი ხალხისადმი.

პროგრამის პირველ ნაწილში მოცემულია საერთაშორისო მდგომარეობისა და შვეიცარიის პოლიტიკური მდგომარეობის დაწვრილებითი დახასიათება. შვეიცარიის შრომის პარტია, ნათქვამია პროგრამაში, დგას შვეიცარიის ნეიტრალიტეტის მტკიცე სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ნიადაგზე და ამ აზრით მოითხოვს გაფართოვდეს ჯერ კიდევ არასაკმაო ურთიერთობა სოციალისტურ სახელმწიფოებთან და გაძლიერდეს აქტივობა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაღმი მისწრაფებაში, სახელდობრ, მოქმედებაში, რომლის მიზანია აიკრძალოს ატომური იარაღი, მოისპოს მასობრივი მოსპობის საშუალებათა არსებული მარაგი და მოხდეს საყოველთაო განიარაღება.

შვეიცარიის შრომის პარტია მოითხოვს შემცირდეს შვეიცარიის ხარჯები სამხედრო მიზნებისათვის.

აყენებს რა მთელ რიგ ეკონომიურ მოთხოვნებს, პარტია მოუწოდებს, რომ გაჩაღდეს ბრძოლა სიძვირის ზრდის წინააღმდეგ და დამყარდეს მტკიცე კონტროლი ფასებსა და ბინის ქირაზე.

პროგრამა და მიმართვა შეიცავს მოწოდებას, რომ ყველა მშრომელნი გაერთიანდნენ კაპიტალის შეტევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყრილობის მონაწილეებმა აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტი 50 კაცის შემადგენლობით. პარტიის გენერალურ მდივნად კვლავ აირჩიეს ამხანაგი ედგარ ვოიგი.

როგორც გაზეთი „ფორვერტსი“ ხაზგასმით აღნიშნავს, შვეიცარიის შრომის პარტიის VI ყრილობამ ჩაიარა მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში მშრომელთა ერთიანობის განმტკიცების ნიშნით.

დასავლეთის სახელმწიფოები თავს აჩიდებენ საბჭოთა წინადადების განხილვას

ნიუ-იორკი, 2 ივნისი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომა. ამ ქვეკომიტეტმა, რომელსაც ხანგრძლივი სხდომა ჰქონდა ლონდონში, 18 მაისს მიიღო გადაწყვეტილება, რომ მორიგი სხდომა მოეწყოს ნიუ-იორკში 1 ივნისს, რათა დასავლეთის მთავრობებს მიეცეთ შესაძლებლობა და დრო შეიტყვონ საბჭოთა მთავრობის წინადადება შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხთა შესახებ. სხდომა ნიუ-იორკში მოწვეულია იმ მიზნით, რომ განსაზღვრონ ქვეკომიტეტის სხდომათა განახლების თარიღი, რათა არსებითად განიხილონ ეს საკითხი.

როგორც ცნობილი გახდა, გუშინდელ სხდომაზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. სობოლევმა წინადადება შეიტანა, რომ უახლოეს დღეებშივე შეუდგნენ ახალი საბჭოთა წინადადებების განხილვას. იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს დამატებითი დრო დასჭირდებათ საბჭოთა წინადადებების შესასწავლად, ა. სობოლევმა მოითხოვა ამ წინადადებათა განსახილველად დანიშნონ ქვეკომიტეტის მორიგი სხდომა 5 ან 6 ივნისს. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისისა და კანადის წარმომადგენლებმა, რომელნიც ცდილობენ გაჰიანურონ საბჭოთა წინადადებების განხილვა, მოითხოვეს, რომ ფაქტიურად შეწყდეს ქვეკომიტეტის მუშაობა განუსაზღვრელი დროით, და ეს იმით დაასაბუთეს, რომ საჭიროა ქვეკომიტეტის შემდგომი სხდომები დაუკავშირონ ოთხ საბჭოთა ქვეკომიტეტს, ოთხ ქვეკომიტეტს, ოთხ ქვეკომიტეტს, ოთხ